ჩემი საქართველო



№77, ოქტომბერი, 2022

საქართველო–უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის გაზეთი მათთვის, ვისაც ცოდნის გაღრმავების სურვილი აქვთ, ლიდეობა სურთ და პროფესიონალიზმს ესწაფვიან!



რას წერენ ჩვენზე

აკადემიურ ქალაქში

“მოგესალმებით, უღრმესი მადლობა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირს ლიტერატურული კონკურსის ორგანიზებისთვის, მეამაყება, რომ საშუალება მომეცა მხატვრული ნაწარმოებით გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ლიტერატურის, როგორც ასეთის, მიმართ და მოვსინჯო ჩემი სამწერლო შესაძლებლობები”. მარინა შავშიშვილი, სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაკაიძეების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

კონკრეტულად ამ მხატვრული და კონკურსში მონაწილე ყველა სხვა ავტორის პოეტური და პროზაული ნაწერის ლაიტმოტივი ერთია: მასწავლებელი, სკოლა, მოსწავლე, ჩვენი საზოგადოება და სამშობლო...

საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირმა ფრიად საინტერესო ლიტერატურული კონკურსის ჩატარებით კიდევ ერთხელ დაადასტურა დიდი მამულიშვილის სახელისა და საქმის ერთგულება, ერთდროულად, ლიტერატურის, ზოგადად, ქართული მწერლობის ფენომენთან პედაგოგთა დამოკიდებულება და მესამე, მოხდა ახალ შემოქმედ პედაგოგთა აღმოჩენა, დაფასება და წარმოჩენა.

მთავარ სათქმელამდე ალბათ იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის ეგიდით ასეთი შემოქმედებითი კონკურსები უკვე ტრადიციადაა ქცეული და მთელი საქართველოს მასშტაბით დიდ ინტერესსაც იწვევს.

ამ პოზიტიური ფაქტის არსებობის მიზეზთა შორის ერთი ისიცაა, რომ კავშირის თავმჯდომარე, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე, თავად მწერალია, მხატვრული, პოეტური, პროზაული თუ პუბლიცისტური წიგნების ავტორი, და მიაჩნია, რომ სწორედ მწერლობაა ადამიანთა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობის გადამრჩენი და რომ სწორედაც ბიბლიური სიტყვაა კაცობრიობისათვის მშვიდობიანი თანაარსებობის მთავარი ორიენტირი.

დასტურად: ომი უკრაინაში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაა ისტორიის კუთვნილება, იგი აწმყოშია და უდიდესი ტრაგედიის ფაქტად რჩება. და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ ქვეყანაში კვლავაც გრძელდება სამწერლო ლიტერატურული ცხოვრება, რისი მაგალითიც ქალაქი ჩერნიგოვია. აქ ჩატარებულ ლიტერატურულ კონკურსში ჩვენი ინსტიტუტის რექტორმა და ამავდროულად უკრაინის ჩერკასის ოლქის ქალაქ კანევის საკადრო პოლიტიკის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ თავისი პროზაული ნაწერით “ნოველად ქცეული სინამდვილე” გაიმარჯვა და ერთ-ერთი საუკეთესო პრიზი დაიმსახურა. უკრაინელ ხალხს ღრმად სჯერა და სწამს, რომ გამარჯვებას ლიტერატურითაც, მწერლობითაც მიაღწევენ. მწერლობა – მშვიდობის მთავარ იარაღად, მწერლობა მშვიდობიანი თანაარსებობის მთავარ მიზნად და მიზეზად უნდა იქცეს, ხოლო მწერალი იყო, არის და დარჩება ადამიანთა სულების მშვიდობის დესპანად.

ლიტერატურული კონკურსი სახელწოდებით “შემოქმედი მასწავლებელი” საქართველოს განათლების სამინისტროსთან ოფიციალური შეთანხმებით ჩატარდა. ფაქტის შესახებ სამი თვით ადრე ინფორმაცია ქვეყნის ყველა საჯარო თუ კერძო სკოლას გაეგზავნა. საკონკურსო მასალების მიწოდება ქვეყნის ყველა კუთხიდან ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. გასაკვირია, მაგრამ საქართველოს პერიფერიული რეგიონებიდან ყველაზე მეტად იმარჯვეს პედაგოგებმა. მასალები რუსთავში, აკადემიურ ქალაქში გამოიგზავნა, იქ, სადაც საკონკურსო ჟიური შეირჩა და მუშაობდა.

ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებას უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა, რასაც წარმატებით გაართვეს თავი პროფესორმა ლეილა გეგეშიძემ. ჟიურის წევრმა ნინო კაკიაშვილმა და მარიკა შარიქაძემ.

ტრადიცია საფუძველჩაყრილია, მამულს, ენას და სარწმუოებას პრაქტიკული საქმეებით უნდა მივხედოთ. ქართული სამება ჩვენი მომავალი თაობებისათვის ეროვნული ცნობიერების მაღალ ნიშნულად უნდა დარჩეს.

გაზეთი: - “ლიტერატურული საქართველო”. № 4048;

სტუდენტთა ოცდამეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია

მთელი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და ჩვეული მეცნიერული ხარისხით წარიმართა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სტუდენტთა ოცდამეშვიდე სამეცნიერო კონფერენცია, რომელმაც სტარტი ქ.რუსთავის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრიდან აიღო, პედაგოგების: თინათინ ხაბურზანიას, ქეთევან ცისკარაშვილის, ეკა პაპუნაშვილის, სოფიკო ცალანის, მაია ივანიძის, ზურაბ ქსოვრელის, მანანა ჩხაიძის, ზეინაბ ლამაზოშვილის და სხვათა მიერ მომზადებული საკონფერენციო თემები მეცნიერულად გააანალიზეს სტუდენტებმა: გულნაზ ახმედოვამ, მანია სადიკოვამ, აიგუნ ისმაილოვამ, აითან ოჯახვერდიევამ, ირადა ბუდაგოვამ, სელინ ნასიბოვამ, რუგია კაფაროვამ, ალვინა ახმედოვამ, საიარა თოფჩიევამ, ალინა მამედოვამ, აისუნ მუსაევამ, მარიამ გოჩოლეიშვილმა, მახბუბა ახმედოვამ, მარიამ ღვინჯილიამ, ხაჯერ იუსუფოვამ, გიუნელ ისმაილოვამ, ფიდან ალიევამ, ნიშანა მუსტაფაევამ, რაქსიმა ახმედოვამ, ნაირა კასუმოვამ, თინათინ ბიჭიკაშვილმა და სხვებმა.

მაღალი ორგანიზებულობით შეხვდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის დამსწრე დელეგაციას ქ.ტყიბულის სასწავლო ცენტრი, სტუდენტებმა: თეო სახელაშვილმა, ნინო შუღლაძემ, თინათინ ვერულაშვილმა, ნინო აბულაძემ, თამარ ბოჭორიშვილმა, თამარ გაბრიჭიძემ, ნათია ლაფარიძემ, ანა ვარდოსანიძემ, ნატალია ასათიანმა, ქრისტინე ბოჭორიშვილმა, ნინო მიხელიძემ, ანნა ესიაშვილმა, ნინო კუპატაძემ, ნინო მახარობლიძემ, მარიამ ყვავაძემ, ლანა ბოჭორიშვილმა, ნათია ყაველაშვილმა, მარიამ სამხარაძემ და სხვებმა პედაგოგების: ირმა ჯიხვაშვილი-გამთენაძის, მარიამ ერაძის, ჯენეტა ობოლაძის, ლელა დარბაიძის და სხვათა ხელმძღვანელობით მომზადებული საკონფერენციო მასალები, ერთურთზე საუკეთესონი აღმოჩნდნენ...

ქ.ჭიათურის სასწავლო ცენტრში, განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა თამარ ჩხეიძემ, პედაგოგების: ნათია ლომიძის, თათია ქურციკიძის, სოფიკო გაფრინდაშვილისა და სხვათა წარდგენის შემდეგ, კათედრა კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებს დაუთმო, მარიამ ფხალაძემ, ნინო იობაშვილმა, რუსუდან წიქარიშვილმა, სალომე ემხვარმა, ქეთევან კაპანაძემ, ირინა ფხალაძემ, მარიამ ცერცვაძემ, სალომე ცუცქირიძემ, თინიკო ხვედელიძემ, ანი კენჭოშვილმა, ანანო ცერცვაძემ და სხვებმა მიღებული ცოდნა მაღალი კვალიფიკაციით წარმოადგინეს. ანალოგიურად, საინტერესოდ წარიმართა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები ქ.დმანისში (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი ნონა აფრასიძე), ქ.ლაგოდეხში (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი მარინა ხაზარაძე) ქ.თელავში (განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი მაია მჭედლიშვილი) და სხვა ადმინისტარციულ ერთეულებში.

სტუდენტთა ოცდამეშვიდე სამეცნიერო კონფერენციის გახსნას იმერული სიხალისით შეხვდა სავარდო და სამაისო ქუთაისი, ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების სასწავლო ცენტრმა, განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის მაყვალა ქობულაძის ხელმძღვანელობითა და პედაგოგების: მერაბ კვიცარიძის, ვაჟა ჯუღელის, სოფიო გველესიანის, თამთა დეისაძის, შორენა საღინაძის, მაგდა ყუფარიძის, ციცინო ჯიშკარიანის ჩართულობით სტუდენტებმა: მარიამ ცირეკიძემ, მაგდა კუბლაშვილმა, სალომე ჭელიძემ, გულო დედუნაშვილმა, ანი მუმლაძემ, ლიკა ვერულაშვილმა და სხვებმა არჩეული პროფესიის ერთგულება და ცოდნის მაღალი დონე გამოავლინეს...

საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის სტუდენტთა ოცდამეშვიდე სამეცნიერო კონფერენციის მსვლელობის შედეგები შეაჯამა ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა გარი ჩაფიძემ და გამარჯვებულები დააჯილდოვა...

გიხარიოდენ...

ახალი სასწავლო წელი მნიშვნელოვანი სიახლეებით დაიწყო ჩვენს აკადემიურ ქალაქში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაცია გავიარეთ და საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რუსთავის აკადემიური ქალაქის სასწავლო კორპუსი გაიხსნა, სადაც ერთიანი ეროვნული გამოცდებით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგამებზე მოხდება ჩარიცხვა, ჩვენი ნომერია: 154; სლოგანი: – „წარსულისა და მომავლის ერთგულება – აწმყოში!“ უნივერსიტეტი რუსთაველებისთვის და არა მარტო... უდიდესი საგანმანათლებლო-სამეცნიერო შენაძენია, ქვემო ქართლში იგი ერთადერთია და აქ, მხოლოდ ჩვენთანაა შესაძლებელი საუნივერსიტეტო განათლების მიღება...

ავტორიზაცია გაიარა ასევე აკადემიური ქალაქის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართულმა კოლეჯმა „საფინანსო სერვისების“ სპეციალობით და მასთან არსებულმა პროფესიული სწავლების ცენტრის „რეგიონალური ტურისტული მეგზურის“ მომზადების პროგრამამ, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებითაა.

რუსთავის აკადემიური ქალაქის ბავშთა დღის ცენტრში

უკვე რამოდენიმე წელია წარმატებით ფუნქციონირებს რუსთავის აკადემიურ ქალაქში ბავშვთა დღის ცენტრები, რომელთა ბენეფიციარები ა(ა)იპ -„ კოლორიტი 1991“- ში ჯანმრთელი ბავშვები, ხოლო ა(ა)იპ-ფოთოლცვენა 2002“- ში შშმ პირები არიან, აქ კვებისა და საშინაო სასკოლო დავალებების შესრულების პარალელურად, უამრავი აქტივობა ტარდება:- წიგნების განხილვა, ექსკურსიები, შეხვედრები საინტერსო ადამიანებთან, დისპუტები, ვიქტორინები... მაგრამ პატარებს ყველაზე მეტად საჩუქრები ახარებთ. ასე იყო საახალწლოდ, როდესაც აკადემიურმა ქალაქმა სასაჩუქრე სოციალური პაკეტი აამოქმედა, არამარტო ბენეფიციარების, არამედ ყველა რუსთაველისათვის სახელწოდებით:- „თოვლის ფიფქი საახალწლო სჩუქართან მიგიყვანთ...“ მერე სააღდგომო საჩუქრებით გავანებივროთ ჩვენი ბენეფიციარები, რასაც ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცენტრის ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სასაჩუქრე პაკეტი მოჰყვა, მალევე ქალაქ რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის პროფესიულ მუნიციპალურ დრამატულ თეატრში ვაჟა ფშაველას ერთმოქმედებიან სპექტაკლზე „სტუმარ-მასპინძელი“ კოლექტიური დასწრება და შემდეგ მისი გარჩევა... სულ ცოტა ხნის წინ კი, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ბავშვები რჩეული საჩუქრებით გავახარეთ... განსაკუთრებული მადლობა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ბატონ სოსო ნემსაძეს და მის არაჩვეულებრივ კოლექტივს, ასევე თანადგომისთვის, ხელშეწყობისა და კოლეგიალობისთვის, ქალაქ რუსთავის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს... აკადემიური ქალაქის დღის ცენტრების ბენეფიციარები ახლა უფლისციხეში ექსკურსიისთვის ემზადებიან...

ეკა გოგოტიშვილი,
ბავშვთა დღის ცენტრის პედაგოგი

კაცი, რომელიც შევიყვარეთ რუსთაველებმა და ჩვენი, ჩვენიანი გახდა.

ღირსეული ადამიანი, კაცური კაცი, მარცვალ-მარცვალ რომ თესავს სიკეთეს ყველგან სადაც კი ხელი მიუწვდება. ეს კაცი პაატა მხეიძეა.

იშვიათად იბადებიან პაატა მხეიძისნაირი ადამიანები, სულერთია ვის სჭირდება დახმარება, მუდმივად მზადაა გვერდით დაუდგეს... ამას ჩვეულებრივ, საკუთარ მოვალეობად თვლის.

რუსთავში კაბინეტში სადაც იჯდა თავთან ჟიული შარტავას სურათი ეკიდა და ხშირად მასაც ვადარებდით. მისაღები მუდმივად სავსე იყო ხალხით, იცოდნენ რომ მიდიოდნენ იქ, სადაც მოუსმენდნენ და მაქსიმუმს გააკეთებდნენ.

იშვიათად თუ შეხვდები მისნაირ ადამიანს და ამ შეხვედრით მომავლის იმედი გიჩნდება...

სიტყვის კაცი! უზომო სიკეთეს და სიყვარულს იტევს თვენი გული!

ბატონო პაატა!

მადლობა იმისთვის რომ ის ადამიანი ხართ, რომელსაც შეიძლება ენდო, რომ ისევ ჩვენთან ერთად ხართ, იმისთვის რომ არ იცით ტყუილი, ღალატი, დაღლა. როცა ადამიანს სჭირდებით ჩვენ გვჯერა, რომ ეს უსასრულოდ ასე იქნება – გვეიმედებით, გვიყვარხართ, გვეამაყებით.

მადლიერი რუსთაველების სახელით:

მზია ანთიძე – ნიჭიერი ახალგაზრდების ინტერესთა დამცველი და მხარდამჭერი საერთაშორისო ასოციაციის ხელმძღვანელი.

გარი ჩაფიძე – ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარე, აკადემიკოსი.

მარიამ თედორაძე – სტუდენტი

ნათელა მუხულიშვილი – რუსთავის საპატიო მოქალაქე, მსახიობი.

გურამ ძაშაკაშვილი – რუსთავის საპატიო მოქალაქე პროფესორი.

ალმარი ლომიძე – ჟურნალისტი.

თემურ ლომსაძე – ჩვენი თაობა "60 +" ხელმძღვანელი.

საქართველო-თურქეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ამ მცირე, საგაზეთო წერილში დიდ საქმეზე მინდა მოგითხროთ, იმ დიდ საქმეზე, რომელსაც თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტო ეწევა საქართველოში, თუმცა ამ სააგენტოს მიერ დაფინანსებულ პროექტთა რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში იმდენად ბევრია, რომ ჩამოთვლა მართლაც შორს წაგვიყვანს და ამიტომ გადავწყვიტეთ "Tika"-ს მიერ ვაზიანის დასახლებაში განხორციელებულ პროექტებზე გაგვემახვილებინა ყურადღება, პროექტები რომელიც აფხაზეთის მთავრობის ეგიდით განხორციელდა იმდენად მაშტაბურია, რომ უკვე შვიდი წელია, ამ ტერიტორიაზე ჯერ სამკერვალო ფაბრიკა და ფეხსაცმლის საკერავი საამქრო, უფრო მოგვიანებით კი საბანკეტო დარბაზი და პურის ქარხანა სწორედ "Tika"-ს ფინანსური მხარდაჭერით ფუნქციონირებს.

ვაზიანის პროექტის ხელმძღვანელი, ვაზიანის დასახლების უდიდესი გულშემატკივარი ბატონი ვლადიმერ დადვანი გახლავთ, ამ კაცმა იწამა ადგილობრივი მოსახლეობის, ადგილოვრებმა ამ კაცის და არცერთი არ შემცდარან.

სწორედ ბატონ ვლადიმერთან საუბრისას დაიბადა იდეა რუსთავის აკადემიურ ქალაქში საქართველო-თურქეთის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების შესახებ, რომელიც ამ ორი ქვეყნის სასწავლო, სამეცნიერო, კულტურულ ქვაკუთხედად იქცევა.

პოლონური სასწავლო ცენტრი

რუსთავის აკადემიური ქალაქში კიდევ ერთი სიახლეა, წელს აქ სტარტი აიღო საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტმა, რომელიც არაფორმალური პროფესიული განათლების ეგიდით იფუნქციონირებს და რომლის სტუდენტებისთვისაც წელს პირველად არა მარტო რუსთავში, არამედ საქართველოს სხვა, მთელ რიგ ადმინისტრაციულ ცენტრებში დაირეკება სალექციო პროცესის დაწყების ზარი... განსაკუთრებული აქტიურობა რუსთავის აკდემიური ქალაქიდან იწყება, აქ პოლონურ ცენტრს დამსახურებული პედაგოგი ეთერი ჭიპაშვილი უხელმძღვანელებს. სასწავლო ცენტრები გეგმიურად გაიხსნება ქალაქებში: ფოთი, ქუთაისი, წყალტუბო, გორი, ზესტაფონი, ქარელი, თიანეთი, თბილისი, ყვარელი, საგარეჯო, მარნეული, ბოლნისი... აღნიშნული წამოწყების საილუსტრაციოდ საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი გარი ჩაფიძე ორდღიანი სამუშაო ვიზიტით სტუმრობდა ლეჩხუმსა და სვანეთს, ცაგერის მუნიციპალიტეტში აკადემიკოსის სტუმრობა წინასწარ დაანონსებული გახლდათ, ამიტომაც გამოიწვია უდიდესი ვნებათაღელვა მასთან შეხვედრამ, რომელმაც ძირეულად განმარტა სასწავლო ცენტრის ფუნქციონირების მექანიზმი არაფორმალური პროფესიული მიმართულებით, წამოწყებას მხარდაჭერა გამოუცხადეს: ცაგერის მერმა, გიორგი ნემსაძემ, საკრებულოს თავმჯდომარემ ჭაბუკი ჭაბუკიანმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლებმა, სკოლების დირექტორებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა, ადგილობრივმა მოსახლეობამ...

საინტერესო, პოზიტიური და მეცნიერული შეხვედრა გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულების წარდგინების ოფიციალური ნაწილი გაიმართა, მუნიციპალიტეტის მერმა გია ონიანმა წამოწყება, არა მარტო მოიწონა, არამედ სურვილიც გამოთქვა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ლექციების წაკითხვა, ლენტეხის სასწავლო ცენტრში! – აი, რაიონის პირველი პირის მიდგომა განათლებისადმი! მადლობა ბატონო გია!

შეხვედრას, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა ლენტეხის მერთან და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანთან ერთად ესწრებოდნენ: რაიონის საგანმანათლებლო რესუსცენტრის ხელმძღვანელი ბადრი ქარდავა, და სკოლის დირექტორები, პედაგოგები, მშობლები და დაინტერესებული პირები, რომელთაც ეს უმნიშვნელოვანესი სიახლე სიხარულით აიტაცეს!

რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ აღნიშნული სასწავლო ცენტრების ხელმძღვანელად ორივე რეგიონში წარდგინება გაუკეთა ბესო ლიპარტელიანს, ხოლო განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსებად – ცაგერში მარიამ ბენდელიანს; ლენტეხში – ესმა ლიპარტელიანს.

ანალოგიური, მაღალი დონის შეხვედრა გაიმართა ყვარელში, რომელსაც საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსთან ქეთევან ჭიპაშვილთან ერთად რაიონის ყველა სკოლის დირექტორი და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ, ყვარელში, პოლონურ სასწავლო ცენტრს განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, გია არჩვაძე უხელმძღვანელებს.

– „ჩემი წინასწარი გათვლით მარნეულის სასწავლო ცენტრი ყველაზე მოწინავე იქნება..." – ამბობს ინტერვიუში ცენტრის ხელმძღვანელი მამუკა ქაფიანიძე აღნიშნული პროგნოზის გაკეთების საფუძველს ქ. მარნეულის მერის ქენან ომაროვის, საკრებულოს თავმჯდომარის ამირან გიორგაძის, მერის მოადგილის ზურაბ ფანგანის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ალი ალახვერდიევისა და ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა იძლევა, ქ.მარნეულში სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსად ნინო ასანიძეა წარდგენილი.

ახალი სასწავლო წლიდან, ახალი სასწავლო დაწესებულება, საქართველო-პოლონეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლება დაიწყებს ფუნქციონირებას!

თამარ მეფის უნივერსიტეტმა ახალი სასწავლო წელი დაიწყო...

26 - სექტემბერს, კიდევ ერთი, ახალი 2022-2023 სასწავლო წლის დაწყებით, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტმა, წარსულისა და მომავლის ერთგულებით, აწმყოში ოქროს ისტორია შექმნა, ახალი სასწავლო წლის დაწყება სტუდენტ-ახალგაზრდობასა და სამეცნიერო-პედაგოგიურ საბჭოს უნივერსიტეტის რექტორმა მამა ადამ ახალაძემ მიულოცა, სიტყვით გამოსვლისას ერთმანეთს ცვლიდნენ პედაგოგები და სტუდენტები, რომელთა მიზანი მიმართული იყო ცოდნის დონის ამაღლებასა და უნივერსიტეტის კეთილდღეობაზე. უნივერსიტეტის კეთილდღეობა თითოეული პედაგოგის, თითოეული სტუდენტის კეთილდღეობით უნდა დაიწყოს... ამიტომ თავიანთ გამოსვლებში პროფესორებმა: ნატალია ასათიანმა, ბელა სარიამ, გარი ჩაფიძემ, ალექსანდრე რუსეცკიმ და სხვებმა სწავლა-განათლების უკიდეგანობაზე ისაუბრეს, ღონისძიება მუსიკისა და ალაფურშეტის თანხლებით მართლაც და საინტერესოდ წარიმართა...

მსახიობ გია ბურჯანაძეს აკადემიურმა ქალაქმა უმასპინძლა

ცნობილ ქართველ მსახიობს, საქართველოს სახალხო არტისტს, კინოსა და თეატრის ცნობილ ხელოვანს გია ბურჯანაძეს აკადემიურ ქალაქში უმასპინძლეს საიუბილეო 70-ე წლისათავთან დაკავშირებით.

სტუმარმრავალი შეხვედრა შევჩენკოს ქუჩის №5-ში მდებარე აკადემიური ქალა-ქის ახალ დიდ სააქტო დარბაზში გაიმართა, რომელსაც სხვადასხვა რანგის, პროფესიის ადამიანი ესწრებოდა რუსთავიდან და თბილისიდან. დედაქალაქიდან წვეულ სტუმართა შორის იყვნენ მსახიობისთვის საყვარელი ადამიანები, მათ შორის ცნობილი ქართველი პოეტი თემურ ჩალაბაშვილი. ყველას, სტუმარსა და მასპინძელსაც გია ბურჯანაძის მიმართ სიყვარული და სიმპათია აერთიანებდა.

ბატონ გიას მინიჭებული აქვს კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემია და მაყურებლის პრემია როლების საუკეთესო შესრულებისათვის, და რაოდენ სასიხარულო, რომ სწორედ ამ ღონისძიების ფარგლებში ევროპის სამეცნიერო პედაგოგიური პარლამენტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ მსახიობს ქართული კულტურისა და ხელოვნების ფლაგმანის წოდება და ოქროს ვარსკვლავი გადასცა...

მთელი საღამოს მანძილზე მისი განხორციელებული როლების კადრების ჩვენება საინტერესოს და დასამახსოვრებელს ხდიდა ამ შეხვედრას.

ღონისძიება დაამშვენეს მამუკა გულაღაშვილის არაჩვეულებრივი ანსამბლის მიერ შესრულებულმა სიმღერებმა.

დაბადების დღე მიულოცეს მსახიობს გურამ ქაშაკაშვილმა, ნარგიზი ტაბატაძემ, აკადემიური ქალაქის რექტორმა გარი ჩაფიძემ. საღამო დაამშვენა თემურ ჩალაბაშვილის ლექსმა, რომელიც უახლოეს მეგობარს გია ბურჯანაძეს მიუძღვნა.

ღია კარის დღე აკადემიურ ქალაქში

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა და საზოგადოებას, უკვე მეთოთხმეტედ, ახალი სასწავლო წლის დაწყება აუწყა საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტმა, მისი არაფორმალური პროფესიული განათლების აფილირებულ სასწავლო ცენტრებში, სასწავლო დისციპლინებს წელს ასობით პირველკურსელი ეზიარება, როგორც ღია კარის დღეს ინსტიტუტის რექტორმა აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ აღნიშნა, 2022-2023-სასწავლო წელი მაღალი დონის მიღწევებითა და საინტერესო მეცნიერული სიახლეებით დაიწყო აკადემიურ ქალაქში, ქალაქში რომელმაც მოიპოვა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ავტორიზაცია, საერთაშორისო აკრედიტაცია და ქართული კოლეჯის ავტორიზაციასთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო სახელმწიფო დაფინანსებით მოქმედი ავტორიზაცია... ახლა მთავარია გონივრული გადაწყვეტილებებით ვუზრუნველვყოთ საგანმანათლებლო სივრცის ფუნქციონირება.

ქორეოგრაფიული სტუდია

რუსთავის აკადემიურ ქალაქში უმნიშვნელოვანესი სიახლეა, ახალი სასწავლო წლიდან აქ ფუნქციონირება დაიწყო ქორეოგრაფიულმა სტუდიამ "იკორთა", რომელსაც საქართველოს ქორეოგრაფიის აკადემიის ქვემო ქართლის რეგიონის ქორეოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი მაკა ტატულაშვილი და ცნობილი ქორეოგრაფი მალხაზ მაისურაძე ხელმძღვანელობენ. ანსამბლი საგასტროლო ტურნეს გაზაფხულიდან ევროპის ქვეყნებით, ქართული კულტურის დღეების ფარგლებში დაიწყებს.

აკადემიურ ქალაქში მალე თეატრ-სტუდია, თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობის მაკა შალიკაშვილის ხელმძღვანელობითა და თოჯინების თეატრი აკაკი იობაშვილის თავკაცობით ამოქმედდება.

აკადემიურ ქალაქში ბავშვთა საათობრივი დატოვების სივრცე გაიხსნა

სადღესასწაულო მორთულობითა და შემოდგომის სურნელით აღნიშნა მრავალშვილიან ოჯახთა კავშირმა "მტევანი". რუსთავის აკადემიურ ქალაქში ბავშვთა საათობრივი დატოვების სივრცის გახსნა, როგორც ცენტრის დამფუძნებელმა და ხელმძღვანელმა იზა ცაგარელმა აღნიშნა, ეს წამოწყება საინიციატივო ჯგუფის ერთობლივი პროექტია, რომელშიც მრავალშვილიანი დედები: ნაირა გელაშვილი, ნინო კერატიშვილი, შორენა სამხარაძე, დალი აბესაძე და თანათო შუკაკიძე ენთუზიასტებად არიან ჩართული... საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული სივრცე ერთადერთია ქვემო ქართლის რეგიონში და დარეკლამირებისთანავე დიდი ინტერესით შეხვდა საზოგადოება...

ბავშვთა დატოვების სივრცის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ და ფუნქციონირების დაწყება მიულოცეს მეცენატმა ბიზნესმენმა თამაზ გველუკაშვილმა, აკადემიური ქალაქის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ, პედაგოგმა დალი აბესაძემ და სხვებმა.

აღნიშნული წამოწყება უდაოდ საინტერესო და დროული პროექტია.

წერითი კონკურსი

რუსთავის აკადემიურ ქალაქში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამი-ნისტროს ჩართულობით, რუსთავის საჯარო სკოლების შემოქმედ მოსწავლეთა შორის თავისუფალი თემების კონკურსი ჩატარდა, რომელმაც მართლაც და დიდი ინტერესი გამოიწვია, ჟიურის გადაწყვეტილებით გამოვლიდნენ გამარჯვებული მოსწავლეები: ვაკო ხაჩიძე, ანი კილაძე, ლიკა კუშჩიანი, ანა ხუციშვილი, ლამან ისმაილოვა, ლიზი წაქაძე, ქრისტინე მკრტუმიანი, თათია ციცქიშვილი, რომელთაც აკადემიური ქალაქის რექტორმა, აკადემიკოსმა გარი ჩაფიძემ საპატიო სიგელები გადასცა.

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: 3700 ქ. რუსთავი შევჩენკოს ქუჩა №5; (აკადემიური ქალაქი) კორპუსი №4

ტელ: (0341) 22-25-00; 27-99-00; 22-77-77; 25-37-00; 25-39-00; 27-94-00; 27-96-00

ISSN 2298-0369